

## შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის 2023-2024 წლის ანგარიში

შრომის უსაფრთხოების მიზანია იმ ძირითადი მოთხოვნებისა და პრევენციული ღონისძიებების ზოგადი პრინციპების განსაზღვრა, რომლებიც უკავშირდება სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოების საკითხებს, არსებული და მოსალოდნელი საფრთხეების, უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების თავიდან აცილებას, დასაქმებულთა სწავლებას, მათთვის ინფორმაციის მიწოდებასა და კონსულტაციის გაწევას და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებში დასაქმებულთა თანაბარ მონაწილეობა.

სკოლა „ ალბიონი“ ერთ-ერთ პრიორიტეტად მიიჩნევს უსაფრთხო სამუშაო და სასწავლო გარემოს შექმნას. ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემოს შექმნა გარკვეულ გამოწვევებს უკავშირდება.

ანგარიშში წარმოდგენილია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ 2023-2024 წლის განხორციელებული საქმიანობები. ანგარიშში ასევე შეჯამებულია გასული სასწავლო წლის ძირითადი საფრთხეები და გამოწვევები.

სკოლა „ ალბიონი“ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სახანძრო უსაფრთხოებას. სახანძრო უსაფრთხოების მიზნით გატარდა შემდეგი ღონისძიებები:

- სკოლაში შექმნილია საგანგებო სიტუაციის შტაბი. შტაბის ყველა წევრს უტარდებათ ინსტრუქტაჟი თავიანთი უფლება-მოვალეობების შესახებ და აღრიცხება ინსტრუქტაჟის აღრიცხვის ჟურნალში.
- პერიოდულად მოწმდება გამოკრულია თუ არა 112-ის ნომერი და ცეცხლმაქრის გამოყენების ინსტრუქცია;
- სისიტემატიურად მიმდინარეობს სკოლაში არსებული ცეცხლმაქრების მონიტორინგი. შემუშავდა ცეცხლმაქრის ყოველთვიური აღრიცხვის ჟურნალი, რომელსაც ავსებს სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. ცეცხლმაქრები მოწმდება: გარე სახესა და ჰერმეტიულობაზე, დამცავი სარჭის მდგომარეობაზე, მილის მდგომარეობაზე, წნევის მაჩვენებელზე, ბერკეტის/სახელურის მდგომარეობასა და გადამუხტვის თარიღზე.
- გარდა ამისა, სკოლაში დამტებით ცეცხლმაქრები განთავსდა: ქიმიის, ფიზიკის კაბინეტებში და სკოლის ეზოში არსებულ კონტეინერებზე. აღნიშნული ობიექტები მიიჩნევა ცეცხლის გაჩენის რისკის ქვეშ, რამაც განაპირობა ცეცხლმაქრების განთავსება.
- სკოლაში შემუშავდა საევაკუაცი წვრთნის ჩატარების წესი. აღნიშნული წესში განისაზღვრა თითოეულ სართულზე, კიბის უჯრედში და საევაკუაცი კართან მიმართულების მიცემაზე პასუხისმგებელი პირები.
- თანამშრომლებს ჩაუტარდათ ინსტრუქტაჟები სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციები, საევაკუაციო ღონისძიებების და მათი განხორციელების შესახებ. ინსტრუქტაჟები აღრიცხა ინსტრუქტაჟების აღრიცხვის ჟურნალში;
- სასწავლო წლის ბოლოს სკოლამ მოიწვია საგანგებოს სიტუაციების მართვის სამსახური, რათა მათ მიერ შეფასებულიყო ობიექტზე არსებული სახანძრო

უსაფრთხოების მოთხოვნები. შემოწმების შედეგად სკოლამ მიიღო სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი. აღნიშნული აქტის თანახმად ობიექტზე გამოიკვეთ რიგი პრობლემები (შენობაში არსებული შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების სისტემა არ არის გამართული და მუშა მდგომარეობაში, ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობის და ევაკუაციის მართვის სისიტემასთან ერთად შენობაში არ არის ინტეგრირებული ხმოვანი ტექსტური გამოცხადება და ა.შ) რაზეც აქტიურად მიმდინარეობს სამუშაოები.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ სასწავლ წელს სკოლაში შრომის ინსპექციის მიერ განხორციელდა გეგმიური შემოწმება. გეგმიური შემოწმების დროს გამოიკვეთ რიგი პრობლემები: ინსპექციის მიერ მოთხოვნილი იქნა თანამშრომლების აღჭურვა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით, დახარვეზდა რისკებისა და ინსტრუქტაჟების გეგმა- გრაფიკის დოკუმენტები, სკოლას მიეცა მითითება სკოლის ეზოში არსებულ კონტეინერებში ქაოტურა განთავსებული ნივთების მოწესრიგებასთან დაკავშირებით და ა.შ . აღნიშნული პრობლემების ამოფხვრის მიზნით სკოლა აქტიურად მუშაობდა რის შედეგადაც რეინპექტირების დროს შრომის ინსპექციის მიერ გაცემული მითითებები სრულად ამოფხვრილი იყო.

აგრეთვე, 2023 -2024 წელს შემუშავდა და ჩატარდა შემდეგი მოქმედებები:

- ბრძანებით განისაზღვრა უბედური შემთხვევების, პროფესიული დაავადებების და საშიში შემთხვევების აღრიცხვაზე პასუხისმგებელი პირი. აგრეთვე შეიქმნა და დამტკიცდა უბედური შემთხვევების, პროფესიული დაავადებების და საშიში შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი.
- ბრძანებით განისაზღვრა ალკოჰოლური, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული თრობის შემოწმების განხორციელებასა და სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფი პირების სამუშაო სივრცეში არდაშვებაზე უფლებამოსილი პირები. შეიქმნა და დამტკიცდა დასაქმებულთა და სხვა პირთა ალკოჰოლური, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული თრობის შემოწმების აღრიცხვის ჟურნალი.  
სკოლამ შეიძინა ალკოტესტის, რომლის გამოყენებით სისტემატიურად მოწმდებიან სკოლის თანამშრომლები;
- სკოლა ალბიონი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლის დამლაგებლებს სისტემატიურად უტარდებათ ინსტრუქტაჟები. ინსტრუქტაჟი მოიცავს დაღვების დროს არსებულ საფრთხეებს, საფრთხისგან დაცვის გზებსა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების წესი. ასევე სკოლის დასუფთავების წესს. როგორ და რა უნდა დავასუფთაოთ ყოველდღიურ, ყოველკვირეულ და გენერალური დასუფთავებისას. სკოლის დამლაგებლებს გადევნათ „სველი იატაკის“ მაფრთხილებელი ნიშანი, ინდივიდუალური დაცვის საშუალებები და განემარტათ მათი გამოყენების წესი.
- ბუფეტის თანამშრომლებს ჩაუტარდათ ინსტრუქტაჟი. ინსტრუქტაჟის დროს განემარტათ, თუ რა საფრთხეები არსებობს მათ სამუშაო გარემოში და როგორ

დაიცვან თავი, როგორ გამოიყენონ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები. აგრეთვე, როგორ გამოიყენონ უსაფრთხოდ მაცივარი და მიკროტალღური ღუმელი.

- სკოლის თანამშრომლებს, რომლებსაც უწევთ მონიტორებთან მუშაობა ჩაუტარდათ სწავლება მონიტორიან დანადგარებთან უსაფრთხო მუშაობასთან დაკავშირებით. სადაც განემარტათ მონიტორებთან უსაფრთხო მუშაობის წესი, არსებული საფრთხეები, საფრთხისგან დაცვის გზები.
- სკოლაში განთავსდა კომპიუტერთან უსაფრთხოს მუშაობის და სკამის გასწორების წესები;
- ინსტრუქტაჟები ჩაუტარდათ ასევე: ბიბლიოთეკარს, სპორტის მასწავლებლებს, ქიმიის მასწავლებლებს, ფიზიკის მასწავლებელს, დაცვის თანამშრომლებს, სამეურნეო საქმიანობის მენეჯერს. აღნიშნული ინსტრუქტაჟებიც მოიცავდა თითოეული თანამშრომლის სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე საფრთხეებს და უსაფრთხო მუშაობის წესებს.
- აღნიშნულ სასწავლო წელს მძღოლის მიერ ყოველდღიურად მოწმდებოდა სკოლის საკუთრებაში არსებული მიკროავტობუსები. შემოწმების შედეგები აღირიცხებოდა სპეციალურად შექმნილ ჩეკლისტში. აგრეთვე, მძღოლს ჩაუტარდა ინსტრუქტაჟი. მას განემარტა თუ რა საფრთხეებს მოიცავს მისი პროფესია და როგორ უნდა იმუშაოს უსაფრთხოდ.
- სამუშაო სივრცეში რისკების შეფასების წესისი შესაბამისად მოხდა რისკების იდენტიფიცირება და დაიგეგმა შესაბამისი ღონისძიებები.
- სკოლაში გამოიკრა  
სამუშაო სივრცეში უსაფრთხოების ან/და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული ნიშნები.
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის N215/ნ ბრძანების შესაბამისად სკოლაში უზრუნველყო დამსაქმებლის ხარჯით დასაქმებულთა პერიოდულ სამედიცინო შემოწმება (ექიმის, ექთნების და მძღოლების)
- სკოლაში შეიქმნა აღჭურვილობის შემმოწმებელი კომისია, რომელიც ყოველთვიურად ამოწმებს სკოლაში არსებულ აღჭურვილობას და ადგენს შესაბამის შემოწმების ოქმებს.

სკოლაში კვლავ აქტიურად ხდება კონტროლი თამბაქოს მოხმარების აკრძალვასთან დაკავშირებით. მოწმდება გამოკრულია თუ არა სკოლაში თვალსაჩინო ადგილას თამბაქოს მოწვევის აკრძალვასთან დაკავშირებული ნიშანი, თამბაქოს მოხმარების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის ნომერი და ჯანდაცვის სამინისტროს ცხელი ხაზის ნომერი.

სკოლა ალბიონში სასწავლო წლის დასაწყისში მუშავდება მასწავლებლების მორიგეობის განრიგი, სადაც განსაზღვრულია მორიგეების ფუნქცია-მოვალეობები. მორიგეობის განრიგი გამოკრულია ყველა სართულზე, მასწავლებელთა მორიგეობის მიზანია მოსწავლეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა და მეთვალყურეობა დასვენების დროს. მასწავლებლების მხრიდან თავიანი ფუნქცია-მოვალეობების პირნათლად შესრულების კონტროლს ანხორციელებს სკოლის ტერიტორიაზე სასწავლო პროცესის დროს მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებში მენეჯერი.

აგრეთვე, მენეჯერის ფუნქცია-მოვალეობებს წარმოადგენს მოსწავლეების გაკვეთილებზე გამოცხადებისა და დაგვიანებების აღრიცხვა.

2024-2025 სასწავლო წელს სკოლა „ალბიონის“ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი კვლავ აქტიურად იმუშავებს სკოლაში უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოს შესაქმნელად.

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი

/-----/